# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 24 კვირა, 31 იანვარი 1910 წ. № 24



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ იხაზება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

**სურათებიანი დამატება**

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦——

——✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

**კედლის კალენდარი 1910 წლის**

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.



ჟურნალ „ნაკადულ"-ის რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 31 იანვარს, გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

**მარიამ ივანეს ასულის დემურიას**

სულის მოსახსენებლად, $11^1/_2$ საათზე. (2—2)



წარმოდგენა № 31. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 31.

**დღეს, კვირას, 31 იანვარს 1910 წელს**

მეორედ ახალი პიესა **ვასილ ყიფიანისა**

**გასტროლი ქ-ნ ნინო ჩხეიძისა, ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანისა.**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, პ. მოთამე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, მურვანიშვილი, ვ. მატარამე, ქიქიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე, კ. ყიფიანი.

ამ პიესისათვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად: „შურის ძიების ღმერთი", „დრამატიული გამგეობის წევრი" ი. გომართელისა.

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



**კვირას, 31 იანვარს, 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში,**

დანიშნულია ქართულ-დრამატიულ საზოგადოების

**საზოგადო სამანმეგო კრება**

განსახილველი საგნები: 1. დრამ. საზოგ. გამგეობის მოხსენება საპენსიო თანხის დაარსების შესახებ; 2. გამგეობის სამის წევრის და ერთის კანდიდატის არჩევა; 3. მიღება ახალ წევრთა.

თუ საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, კრება გადიდება შემდეგ კვირისთვის. (2—2)



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. ზაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—260)



**სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი**

**ქუთაისში**

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (30—1)



**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—6.—98)



**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

**სამკურნალო**

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—96)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს **გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ვ.—21)

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—48)

**ექიმი** **მ. დ ბეთანოვი**

**ქუთაისში,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—6)

**ექიმი** **შ. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—14)

**ექიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—ვვ.—12)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა). აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—2

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—356)

**ექიმი** **გ. მაგაკიანი**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—6 ს, ძიზელის პრ., N 36, საძ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—85)

**ექიმი** **ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მესკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—5)

**კაბინეტი** **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—89)

**ექიმი** **ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—105)

**ექიმი** **ა. ი. შჩერბინინა**

ველიკოკნიაჟის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—12)

◀ **ვკისრულობ დაცვას** ▶

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას ხაკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს საბჭოზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, საპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (ხადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—6.—32)

**ქუთაისში**

✦ წიგნის მაღაზია ✦

**გ. გალუსტოვის**

ამით აცხადებს, რომ მან კონკურენციის გამო დააკლო ფასები ყოველ სამოსწავლო წიგნებზე 15 იანვრიდან; უთმობს დანიშნულზედ წიგნების ფასებიდან მანეთზე 5 კაპეის და წიგნის ყდას ანგარიშობს არა უმეტეს 5 კაპეიკს თითო წიგნზე. (5—1)

◀ **ქუთაისში** ▶

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილები და წიგნის მაღაზია

**გ. გალუსტოვისა**

ამით აცხადებენ, რომ მათ შეთანხმებით მოაწყვეს ქუთაისშივე **მოწაფეთა რვეულების გაკეთება**, რითაც ეძლევათ საშუალება დაუკლონ ფასები. ამა წლის ივნისამდე გაიყიდება ორივე სავაჭროში მოწაფეთა რვეულები 15 გირვანქიანი ასობით 2 მანეთად. მოწაფეთა რვეულები 21 გირვანქიანი ასობით 3 მანეთად. ივნისში კი ფასებს დაუკლებენ. (5—1)


# დღიური

### სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა.

წარსულ კვირას დავასახელე ზოგიერთი ნაკლულევანება ტფილისის ქართულ თეატრისა; ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, არც საჭიროა. ნათქვამიდანაც ცხადია, რომ მისი დღევანდელი არსებობა არ-არსებობაა და გარეშე სრული რეორგანაზაციისა, სრული განახლებისა, ხსნა არ არის.

არ მინდა გავამრავლო ისედაც მრავალი რიცხვი ნაცარქექიებისა, რომელნიც სხვის ომში ყოველთვის ბრძენნი არიან და არ ვიტყვი, რომ ჩვენი თეატრის სრული უნუგეშობა ერთი თუ ორი კაცის ბრალი იყოს: ჩვენი საზოგადო საქმეების დაღუპვა ან გაკეთება რამდენისამე კაცის ხელთ რომ იყოს, მაშინ ყველაფერს ადვილად გამოვაბრუნებდით. მაგრამ ნამდვილად აგრე არ არის და თუ რომელიმე საზოგადოებრივი საქმე ვერ ხეირობს ჩვენში, ამას ბევრი მიზეზი აქვს—ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, უკულტურობა, ამაში მთელს საზოგადოებას აქვს წილი.

უეჭველია, რომ ტფილისის ქართული თეატრის უმთავრესი მტერი ჩვენი მონობაა, რის შედეგია ის, რომ ჩვენს თეატრს საშინელს ქიშპობას უწევს რუსული დრამა და ოპერა, რომელიც შეუდარებლად უკეთეს პირობებშია ჩაყენებული. ამაზე ლაპარაკი ახლა მეტია. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ მიუხედავად ასეთ მდგომარეობისა როგორ უნდა გავუმაგრდეთ ჭირს და რა გზას დავადგეთ, რომ თავი დავაღწიოთ კრიზისს.

ჩემის აზრით, უპირველესი საზრუნავი ჩვენი დრამისთვის არის შესაფერ ბინის მოპოვება. თავად-აზნაურობის შენობა გვეგონა რომ უმთავრესად ქართულ ხელოვნებისათვის იქნებოდა, მაგრამ ეს არ გამართლდა და წელს რუსულმა ოპერეტმა კინაღამ სრულებით კარში გააგდო ქართული დრამა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადასწყდეს, რომ ტფილისში ჩვენი დრამის არსებობისა და გავითარებისათვის აუცილებლივ საჭიროა თვეში რვა-ათი წარმოდგენა, რომელთაგან ერთი უთუოდ უნდა იყოს განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობისათვის. მხოლო ამ შემთხვევაში შეიძლება სასცენო ნიჭის წრთვნა, ხელოვნების განვითარება; ამ შემთხვევაში შეიძლება გაეფება ქართული წარმოდგენებისა, რაიც აუცილებელი პირობაა საზოგადოების მოზიდვისათვის.

გეტყვიან: თუ თ.-აზნაურობამ რუსულს დასს არ გადასცა თეატრი, რითი დაჰფაროს გაწეული და ყოველ წლიური ხარჯიო? ამაზე ვუპასუხებ: ტფილისში მესამე მუდმივ რუსულ დასს არსებობა არ შეუძლია, ისე რომ მუდმივ მოიჯარადრეს რუსის ანტეპრენიორს ვერ იშოვნით, შეგიძლიათ მარტო გასტროლიორები მოიზიდოთ. მაშასადამე, უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოთ შინაურ მუშტრებს—ეცადეთ, რომ ქართულ თეატრში გაიმართოს ყოველი ქართული საღამო, კონცერტი, ლექცია და სხვა; რომ ამავე თეატრში იმართებოდეს თათრული, სომხური წარმოდგენები. რასაკვირველია, ეს ყველა ხარჯს ვერ გაასწორებს, მაგრამ სამაგიეროდ ქართულს დასს ექნება საკუთარი თავისუფალი ბინა და განა თ.-აზნაურობამ თეატრი მოგებისათვის ააგო?

მეორე საგანი, რომლის მნიშვნელობა დღემდის არ შეგვინიშნავს, არის ქართული თეატრის დირექტორი, გამგე. ჩვენი თეატრი ყოველთვის უპატრონო იყო, მაგრამ განსაკუთრებით იგრძნო უპატრონობა წელს. თეატრი ცოცხალი საქმეა, იგი მოითხოვს მუდმივს პირდაპირს წარმოებას, გაძღოლას, თვალყურის გდებას, ხელმძღვანელობას. აქ კოლეგია ვერასოდეს ვერ იქნება ჯეროვან ადგილზე. კოლეგიას არ შეუძლიან პირდაპირი წარმოება, განსაკუთრებით ხელოვნების დარგში, სადაც საჭიროა შემოქმედება, რომელიც არსებითად ინდივიდუალურია. თუ ძნელია ასეთი ადამიანის შოვნა, შეიძლება გამგეობის წევრთა მორიგეობა ხანგრძლივის ვადით და სრული პირადის პასუხისმგებლობით თავის ვადის განმავლობაში. ერთს გამგეს შეუძლია დაამყაროს ქართულს თეატრში წესი და დისციპლინა. გამგეობას კი უნდა დარჩეს მხოლოდ საერთო ზედამხედველის და ხელმძღვანელის ადგილი.

მესამე აუცილებელი საშუალებაა—კარგი რეჟისორი, რეჟისორი, რეჟისორი! ურეჟისოროდ ამაოა ყოველივე ცდა. ურეჟისოროდ არც არტისტი გვეყოლება, არც დასი, ვერც წარმოდგენას ვნახავთ. თეატრის არსებობა წარმოუდგენელია ურეჟისოროდ. ამიტომ ყველაზე უწინარეს, რადაც უნდა გვილირდეს, კარგი რეჟისორი! უმისოდ ქართულ თეატრის აწმყოც და მომავალიც დაღუპულია. ასეთმა რეჟისორმა ხელ-ახლა უნდა შეადგინოს ქართული დასი, აღზარდოს; დაბადოს აქტიორები, ასწავლოს მათ ხელოვნების ანბანი, უნდა შექმნას დრამატიული სკოლა; ერთის სიტყვით, უპირველესად მან უნდა განახორციელოს ის, რაც დღევანდელ წერილის სათაურში ვსთქვით: აღადგინოს ქართული სცენა მისი სრულის, ძირითადი განახლებით, სიკვდილი დასთრგუნოს სიკვდილით, რადგან მხოლოდ მაშინ გვექნება თეატრი და იარსებებს მტკიცედ, როცა მოისპობა ის, რაც დღეს არსებობს.

**სიტყვა.**

# ორიოდე სიტყვა დიდმნიშვნელოვან საგანზე

ამ ბოლო დროს ერთ ფრიად დიდმნიშვნელოვან საგანს აქცევს ყურადღებას გაზეთი „დროება" და მთელი პრესსა. ეს გახლავთ საქართველოს ტერრიტორიის ნაწილის გადასვლა უცხოთა ხელში იმ დროს, როდესაც ქართველი გლეხები თვით განიცდიან ასეთს გასაჭირს უადგილმამულობით. კახეთისა და ქართლის მემამულეთა ადგილები, როგორც გაზეთებიდან ვტყობულობთ, ჩვენ თვალწინ გადადის შორიდან გადმოსახლებულთა ხელში. ამავე დროს დასავლეთი საქართველოც რომ არ ვახსენოთ, ფშავ-ხევსურეთ და ქართლისა და კახეთის გლეხობას სული ეხუთებათ უმიწობით.

ჩვენი „ბრწყინვალე" წოდების ზოგიერთი წარმომადგენელნი აგენტობასაც ეწევიან, რომ მსხვილ მემამულეებს გადმოსულებზე მიაყიდვინონ მამულები. გაზეთი „დროება" მოწადინებულია ეს ანორმალური და ჩვენი ეროვნების გამათახსირებელი მოვლენა რითიმე შეაჩეროს. მთელი საქართველოს მამულიშვილთა ყურადღებას აქცევს ამ გარემოებას, სცდილობს მორალური ზედმოქმედება იქონიოს იმ მემამულე ქართველებზე, რომელნიც გარედ ჰყიდიან მამულებს, როცა შინ ბალღები შიმშილით იხოცებიან.

ვინაიდან, როგორც ჩვენ შორიდან ვფიქრობთ, საქართველოს თავად-აზნაურობაში, ეროვნული გრძნობა მაგრე ჩამქრალიც არ უნდა იყოს, „დროების" პუბლიცისტთა მიერ კიცხვა და მხილება ზოგიერთთა და გოდება დაკარგულ მამულებისაგამო მთლად არ დარჩებოდა და დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. მაგრამ, როცა მოწინაალმდეგე ძალა გამოდის ფულითა და სხვა უფლებებით აღჭურვილი, რა უნდა გააკეთოს ერთმა მორალურმა ძალამ?

რადგან ტერიტორიის დაკარგვა ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეროვნობის დაკარგვას უდრის, ყველა შეგნებული ქართველი, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიობისა, უნდა შეერთდეს როგორც ერთი კაცი და ერთნაირ ძალას იმნაირივე ძალა დაუპირდაპიროს. ჩვენ მოგახსენებთ საეროვნო თანხის გაჩენაზე, რომლის ერთად-ერთი დანიშნულება უნდა იყოს მამულების შეძენა. საიდან უნდა გაჩნდეს ასეთი ნაციონალური ბანკი? ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცარავს ეს უფულობა. გასასყიდ ადგილების შეძენა ეს ისეთი საკითხია, რომლისათვისაც საჭიროა ათასობით კი არა, ასი ათასობით საჭიროა ფული. და მერე, ვიმეორებთ საიდან გავიჩინოთ ეს ასი ათასი მანეთები?

აი, ამის პასუხად ჩვენ გვინდა ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ. შეიძლება მცირე რამ სასარგებლო ნაყოფი გამოიღოს ამ აზრმა, ყოველ შემთხვევაში დაშავებით მაინც არარას დააშავებს.

ჩვენის აზრით, რომ შესაძლებელი გახდეს ასეთი საეროვნო თანხის გაჩენა, საჭიროა ყოველმა შეგნებულმა და ცოტათი მაინც შეძლებულმა ქართველმა (მთლად მატერიალ. შეუძლოთა გარდა), ჩვენის ეროვნების წინააღმდეგ წამოსულ და მომართულ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად, გამოიღოს 1% თავის წმინდა შემოსავლიდან და შესწიროს ეროვნების წმინდა ტაძარს. თუ ჩვენ თუთიყუშივით უგულოდ არ ვახსენებთ საქართველოს, თუ ჩვენ საქართველოს მომავალი გვწამს, ამის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ.

ქართველ მრეწველებმა, ვექილებმა, ექიმებმა, ინჟენერებმა, სამხედრო პირებმა, მოხელეებმა, ვაჭრებმა, ჟურნალისტებმა, წიგნის გამომცემლებმა, სოფლისა და ქალაქის სამღვდელოებამ, ქალაქების საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მასწავლებლებმა, სოფლის მასწავლებლებმა, ქართველ პროვიზორებმა და მათმა თანაშემწეებმა, ფერშლებმა, რკინის გზათა და გემთა მოსამსახურეებმა, შეგნებულ გლეხებმა და მუშებმა,—ერთის სიტყვით ყველა ქართველებმა, ვისაც კი ცოტაოდნად მაინც ხელს უწყობს ქონებრივი მდგომარეობა, უნდა გამოიღოს თითო პროცენტი (წმინდა შემოსავალ. ას მანეთზე ერთი მანეთი).

არა თუ კერძო პირებმა, თვით საზოგადო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საეროვნო თანხის გაჩენაში. ქუთაისისა და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკებმა, სამეურნეო ბანკმა, ქართველების მიერ დაარსებულმა საკრედიტო და სხვა საზოგადოებებმა და ამხანაგობებმა, ჟურნალ-გაზეთობამ და სხ. და სხ. ამა თუ იმ სახით, სახელდობრ უნდა მატერიალურად დაეხმარნენ საეროვნო ბანკს. პროვინციაშიაც არსებობს მრავალი საზოგადოება და ამხანაგობა. ამათაც ხელი უნდა გამოიღონ. თუ წესდებები არ იძლევიან ნებას ასეთ დახმარებაზე, ამის მოსავლელ კანონიერ გზის გამოძებნა ძნელი არ უნდა იყოს. სტუდენტობამაც, რომელიც საზოგადოდ თვით განიცდის აუტანელ მდგომარეობას, უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში. ამიერი და იმიერი საქართველო, მთა და ბარი, ერთის სიტყვით, ყველა კუთხე საქართველოსი უნდა ეცილებოდეს ერთმანეთს ამ საეროვნო თანხის გაჩენაში, ქართველი ქალებიც მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდნენ. თვით უცხო მხარესა და ქვეყნებში გარდახვეწილი ქართველებიც უნდა აწვდიდნენ თავის წვლილს ამ საქმეს.

ნუ თუ ყოველივე ეს ოცნებაა და ამისი მზგავსი არ სად არა მოხდარა რა. პირად ჩვენ ეს ოცნებად, აუსრულებელ რამედ არ მიგვაჩნია, ოღონდ რიგიანი თაოსნობა იყოს, ჩვენ ვთხოვულობთ ქართველებისაგან საქართველოს სასარგებლოდ დროებითს მსხვერპლს, მაგრამ მცირე მსხვერპლს.

ასეა თუ ისე, თუ ჩვენში მოკლე ხანში საეროვნო ბანკის გახსნა მოხერხდა, ამ ჩვენ დროს მარტო ზემო აღნიშნულის სახით. შეიძლება, რადგან მილიონერები, რომელნიც ასი-ათასობით შემოსწირავენ და გაოიღებენ, ჩვენ არა გვყვანან.

ჩვენ დღეს მხოლოდ საზოგადო აზრი გამოვსთქვით საეროვნო თანხის დაარსების საჭიროებასა და შესაძლებლობაზე. თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე, ე. ი. ტეხნიკური მხარე საქმისა—სულ სხვაა; როცა ამაზე მიდგება საქმე, ეს არც მაგრე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მხოლოდ ეს კია, რომ საეროვნო ბანკის მოქმედება ყველა იმ ადგილზე უნდა იყოს გავრცელებული; სადაც ქართველები სცხოვრობენ.

მართალია, ჰსურთ რუსეთიდან გლეხები გადმოასახლონ ჩვენს ქვეყანაში, და საფიქრებელია ძლიერთა ამა ქვეყნისად გულ-გრილად შეჰხედონ აღნიშნულ საქმეს. მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს ჩვენ...

და ამასთან, თუ მთავრობა შორეულ პოლიტიკის მატარებელია და ასეთი უნდა იყოს ყოველი რიგიანი მთავრობა), არც იმისთვის ვარგა, რომ ქართველი გლეხკაცობა უმიწაწყლოდ დარჩეს და ბოგანო ხალხად გადაიქცეს: ეს უკანასკნელი უფრო მოუსვენარი ელემენტი იქნება მთავრობისთვის, ვიდრე საკუთარ მიწაწყალზე დამყარებული გლეხ-კაცობა ჩვენ რომ ბანკები დავიარსოთ, მიწები შევიძინოთ, ასეთი მოქმედება არავისთვის არის აღკრძალული, და ჩვენ რად გვეძრახვის!

თუ ამ წერილში აღძრული საგანი საყურადღებოდ და შესასრულებლად იქნა ცნობილი, ქართველმა საზოგადოებამ დრო არ უნდა დაჰკარგოს და დროზე შეუდგეს საქმეს.

პ—ჭ—ა.

# ვერ დაიმონებს!

ვუძღვნი ექ. გაბაშვილს.

ვერ დაიმონებს ქარიშხალსა, მთებში ავარდნილს,
შეუბრალებლად ყინვით დამზრალს მოსტეხავს ყვავილს!

ვერ დაიმონებს ვერც ზღვის ტალღას აბობოქრებულს,
შეჰრეკს მორევში და დაჰღუპავს ცეცხლად ანთებულს!

ქარიშხალია წმინდა ნება, დაუდეგარი!
და ზღვის ტალღაა მკვეთრი სიტყვა, მარად მჭექარი!

დედავ, აღმზრდელო! მტერი ავსა ამაოდ ჰგონებს!..
ქსელი რას ავნებს დიადს სურვილს?—ვერ დაიმონებს!

ა. მანშიაშვილი.

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბ-ნ გოთუას გაზეთმა „მიწასთან გაასწორა“ ქართულ გაზეთების რეცენზენტები—უვიცები, გაუნათლებელნი, უსწავლელნი არიანო. ასეთის ეპიტეტებით ამკობს იგი გუშინდელ „ნოვაია რეჩში“ რეცენზენტებს. ცოტაოდენ მოწყალებას „მომავლისათვის“ იმეტებს: ამ გაზეთის რეცენზენტს კიდევ არა უშავსრა, მაგრამ „დროების“ რეცენზენტი სულ სახსენებელი არ არისო.

კარგად გვესმის, რომ ასეთი წერილი შედეგია იმ უსიამოვნებისა, რომელსაც „ნოვ. რეჩის“ ხელმძღვანელი იგემებდა გუშინწინდელ ჩვენი შენიშვნის შემდეგ, ამიტომ არსებითად პასუხის გაცემა არა ღირს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ვინც „დროებასა“ და „ნოვ. რეჩს“ კითხულობს, კარგად ეცოდინება, ქართულ წარმოდგენების შესახებ სად როგორი რეცენზიები იწერება.

ჩვენ აღარ გვაოცებს ის უტიფრობა და შუბლ-გარეცხილობაც, რომლითაც „ნოვ. რეჩ.“-ის ავან-ჩავანნი ასეთის სერიოზულის კილოთი კისრულობენ სხვის ჭკუის დარიგებას. აღარ გვაოცებს მას შემდეგ, რაც ბ-ნ გოთუასთანა ვაჟბატონნი საზოგადო მოღვაწეობას და თეატრის საქმეების ხელმძღვანელობას კისრულობენ, საქმეს მიწასთან ასწორებენ და როცა ნამოქმედარს და ნაჯღაბს უწუნებ, საყვედურსაც გითვლიან...

მართლა ამაზეა ნათქვამი: ერთ ქვეყანაში ქალი არ იყო და ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.

# სახელმწიფო სათათბირო
(სააგენტოს დეპეშები(

**დეპუტატების ჯამაგირი.**

29 იანვრის სხდომაზე 40 დეპუტატმა განცხადება შეიტანა—იმ დეპუტატებს, რომელნიც სათათბიროდან დროებით იქნებიან დათხოვნილნი, გამოერიცხოთ ჯამაგირიდან შესაფერი ფული. სხვა დეპუტატებმა, რიცხვით 31 კაცმა, თავიანთ მხრით წინადადება შეიტანეს, რომ ხსენებული განცხადება ნაკაზის კომისიას გადაეცესო.

ამ განცხადებამ მცირე კამათი გამოიწვია. მემარჯვენენი, ტრუდოვიკები და ს.-დემოკრატები წინააღმდეგნი იყვნენ, განცხადება კომისიას გადასცემოდა. სათათბირომ, 139 ხმით 99 ხმის წინააღმდეგ, გადასწყვიტა, განცხადება კომისიას გადაეცეს.

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა.**

ამის შემდეგ სათათბირომ განაგრძო ადგილობრივ სასამართლოს შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. მესამე თუ მეოთხე სხდომაა, მაგრამ სათათბირომ მაინც ვერ დაამთავრა ეს კანონ-პროექტი. ამ სხდომაზედაც დეპუტატები ადრე დაიშალნენ, საკმაო რიცხვი აღარ იყო და 76 მუხლამდე ძლივს განიხილეს. საინტერესო არაფერი მომხდარა.

# დეპეშები
პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
30 იანვარი.

**საზღვარ-გარედ.**

**სალონიკი.** სოფელ კულაკიაში ჟანდარმებმა მოჰკლეს ბერძენთა რაზმის უფროსი სტერიო. დააპატიმრეს და სალონიკში ჩამოიყვანეს 30 გლეხი. ბრალდებათ სტერიოს დამალვა.

**ბერლინი.** ჰააგიდან იუწყებიან: ზედა პალატაში გეკკერონმა სტოკჰოლმში ელჩად ნამყოფმა, წინადადება შეიტანა, საჭიროა ისეთი ზომები მივიღოთ, რომლებიც ნიდერლანდებს უზრუნველჰყოფენ ინგლისისა და გერმანიისაგანაო. გეკკერონმა სთქვა: რამდენიმე წლის წინად მეზობელ სახელმწიფოს მეფემ ნიდერლანდელების მეფემ მოსწერა, თუ ნიდერლანდები ისე არ შეიარაღდნენ, რომ ინგლისს წინააღმდეგობა გაუწიონ, იძულებული ვიქნები ნიდერლანდია დავიჭიროო. გარეშე საქმეთა მინისტრმა ამაზედ განაცხადა: ვერაფერს ვიტყვი, სანამ გეკკერონი არ განმარტავს, თუ რომელ მეზობელ სახელმწიფოს მეფეზედ ლაპარაკობსო. ბერლინის გაზეთები იუწყებიან: ზედა პალატის დახურულ სხდომაზედ გეკკერონმა განაცხადა, რომ 1904 წელს ესეთი შინაარსის წერილი გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა მოსწერა დედოფალ ვილჰელმინასო.

**ჰააგა.** გარეშე საქმეთა მინისტ. განაცხადა,—გერმანიის იმპერატორს ნიდერლანდების დედოფლისთვის არავისდღეში არ მიუწერია, თუ ნიდერლანდები ისე არ შეიარაღებულან, რომ თავი დაიცონ ინგლისისაგან, იძულებული ვიქნები ნიდერლანდები დავიჭიროო. დედოფალს გერმანიის იმპერატორთან არც მოლაპარაკება არ ჰქონია ამის შესახებ. არც ის ყოფილა, რომ გერმანიის იმპერატორის წინადადებით ვისმეს ამისთანა რჩევა მიეცეს დედოფლისათვისო.

**ქრისტიანია.** სტორტანგი. ახალმა პრემიერ-მინისტერმა წაიკითხა ახალ სამინისტროს დეკლარაცია. დეკლარაციაში, სხვათა შორის, ნათქვამია: სამინისტრო ეცდება სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირი იქონიოს. სამინისტრო შეეცდება სტარტანგთან ერთად ჯარის და ფლოტის რეორგანიზაცია მოახდინოს. რაც შეეხება სოციალურ რეფორმებს, სამინისტრო ბევრს იმეცადინებს მათ განხორციელებისათვისო.

**პარიზი.** საერო განათლების მინისტრმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი კერძო სასწავლებლების შესახებ კანონ-პროექტით კერძო სასწავლებლების დამაარსებელთ უფლება აქვთ ისე მეთოდზედ ასწავლონ მოწაფეებს, როგორითაც საჭიროდ დაინახავენ, საერო განათლების მინისტრს უფლება აქვს აკრძალოს ესა თუ ის სახელმძღვანელო თუ სახელმძღვანელოში კონსტიტუციის საწინააღმდეგო იდეები არის გატარებული. სასწავლებლის გახსნის წინ დირექტორმა და ინსპექტორმა სამინისტროში უნდა განაცხადონ, რომ კონგრეგაციების წევრებად არ ითვლებიან.

**პალმა** (კუნძული მაიორკა). მაიორკის ახლო დაიღუპა საფრანგეთის გემი „ჟენერალ შანი“. გადარჩა ერთი მგზავრი.

**ბერლინი.** ლანდტაგი. იხილავენ

# ვარდი და ბულბული
ოსკარ უაილდისა.

— დამპირდა, შენთან ვიცეკვებ, თუ მომიტან ალისფერს ვარდსო,— გულ-ამოსკვნილი ამბობდა ახალგაზდა სტუდენტი:—მთელს ჩემს ბაღში კი არც ერთი წითელი ვარდი არ არის.

ბულბულს შეესმა ეს გულის-ამონაკვნესი და გაკვირვებულმა გამოიცქირა ფოთლებიდან. იმას იქვე ასწლოვან მუხის შტოზე გაეკეთებინა ბუდე.

— არც ერთი წითელი ვარდი!— ამბობდა სტუდენტი და იმისი მშვენიერი თვალები ცრემლით ივსებოდა.—ახ, რა უბრალო რამეზეა დამოკიდებული ხშირად ბედნიერება! ყველაფერი გადავიკითხე, რაც ოდესმე დაუწერიათ ბრძენთ, მივაღწიე ფილოსოფიის ულრმეს აზრებს, და ერთი დაჟინებითი თხოვნა წითელ ვარდისა მთლად მუსრავს ჩემს სიცოცხლეს.

— აი, ჭეშმარიტი სიყვარული!— წარმოსთქვა ბულბულმა.—ღამეს ღამეზე ვუგალობდი მას თუმც, ჯერ არ ვიცნობდი. ცისკრიდან ცისკრამდე ვუამბობდი ვარსკვლავებს იმის ამბავს და, აი, ეხლა იგი ჩემს წინაა. იმისი თმა ბნელია, როგორც სუმბულის ყვავილი, და ტუჩები ალისფერი, როგორც ვარდი, რომელსაც ის ეძებს; მაგრამ სიყვარულისაგან სახე გაჰფითრებია, და დარდს დაუსვამს თავისი ნიშანი იმის შუბლზე.

— ხვალ პრინცი ბალსა მართავს,—გრძნობით ჩასჩურჩულებდა ყმაწვილი სტუდენტი:—და ჩემი სატრფო იქ იქმნება მიწვეული. თუ ალისფერს ვარდს უშოვი, ის იცეკვებს ჩემთან გათენებამდის. იმ ვარდის ჯილდოდ მისი კეკლუცი თავი დაეყრდნობა ჩემს მხარს, მე მივიკრავ მკერდზე და მისი ხელი მაგრა მეჭირება. მაგრამ ჩემს ბაღში არ არის არც ერთი წითელი ვარდი და იმ საღამოს უნდა მარტო დავრჩე. ახლოს გამივლის, არც კი შემომხედავს და გულს მომიკლავს.

— ჰო, ეს ჭეშმარიტი მიჯნურია! სთქვა ბულბულმა,—რასაც მე ვგალობ, ეს განიცდის; რაც ჩემთვის სიხარულია, ამისთვის დარდია. დიაღ, სიყვარული აუხსნელი გრძნობაა; ზურმუხტზე ძვირფასი და ცის დანაკზე კეთილშობილია, მას ვერ იშოვი მარგალიტით და ლალით, არ მოიძებნება მაღაზიებში და ოქროს წონადაც ვერ დააფასებ.

— მუსიკა დაუკრავს,—განაგრძობდა სტუდენტი: და ჩემი სატრფო დაიწყებს ცეკვას. ისე კეკლუცად ცეკვავს, თითქოს არც კი ეხება იატაკსაო. მდიდრულად მორთული კარის კაცნი გარს ეხვევიან, ჩემთან კი არ იცეკვებს, რადგან წითელ ვარდს ვერ ვუშოვი,—და მწუხარებით დაეცა მწვანე ბალახზე, დაიფარა სახეზედ ხელები და მწარედა სტიროდა.

— რა ატირებს?—იკითხა მახლობლად გარბენილმა ხვლიკმა კუდის ქნევით.

— მართლაც, რისთვისა სტირის? —სთქვა ჭრელმა პეპელამ, რომელიც იქვე მზის სხივებში ნაზად ბანაობდა.

— რისთვის?—ჩასჩურჩულა ვარდგვირილამ წყნარის, ნაზის ხმით თავისს მეზობელს.

— სტირის წითელი ვარდისთვის, —სთქვა ბულბულმა.

— წითელი ვარდისთვის!—წამოიძახეს ყველამ ერთხმად.—რა სასაცილოა?—ხოლო პატარა ხვლიკმა კი მოურიდებლად გაიკასკასა.

მაგრამ ბულბულს კარგად ესმოდა სტუდენტის გულის კვნესა. ჩუმად იჯდა თავის მუხის შტოებში და ფიქრობდა იმ საიდუმლოებაზე, რომელსაც სიყვარული ეწოდება.

აი, უცბად გაშალა თავისი წაბლის ფერი ფრთები და შეფთხრიალდა ჰაერში, აჩრდილივით გაჰქრა ფოთლებში და ჩუმად გადაფრინდა ბაღზე.

მწვანე მდელოს შუა იდგა ერთი მშვენიერი ვარდის ბუჩქი. ბულბული მიფრინდა და დაეშვა ყლორტზე.

— მომეცი წითელი ვარდი,— სთხოვა მან:—და მე გიგალობ ნაზს სიმღერას!

მაგრამ ჩირგვმა თავი გააქნია.

— ჩემი ვარდები მთის მწვერვალზე დაფენილ თოვლზე თეთრია,— უპასუხა ჩირგვმა:—თეთრია, როგორც ზღვის ქაფი; წადი ჩემს ძმასთან, რომელიც მზის საათის ირგვლივ გაფურჩქნილა; იქნება იმან აგისრულოს თხოვნა.

და ბულბული გაფრინდა ბუჩქთან, რომელიც მზის საათის ირგვლივ გაფურჩქვნილიყო.

— მომეცი წითელი ვარდი და გიმღერებ ჩემს წკრიალა სიმღერას,— შეეხვეწა ბულბული.

მაგრამ ბუჩქმა თავის ქნევით უპასუხა:

— ჩემი ვარდები უფრო ყვითელია, ვიდრე ფოლიოს ყვავილები, რომელნიც ამშვენებენ მინდვრებს; სანამ მათ არ მოსჭრის ცელი, ყვითელია, როგორც ოკეანის სიღრმეში ქარვის ტახტზე მჯდარი ზღვის ქალის თმა. გაფრინდი ჩემს ძმასთან სტუდენტის ფანჯრის ქვეშ: იქნება იმან მოგცეს, რაც გინდა.

და ბულბულიც გაფრინდა ბუჩქთან, სტუდენტის ფანჯრის ქვეშ.

— მომეცი წითელი ვარდი და გიმღერებ ჩემს უნაზესს სიმღერას.

მაგრამ ბუჩქმა აქაც თავი გააქნია:

— ჩემი ვარდები წითელია იმ მარჯნებზედაც, რომელნიც ნაზად არხევენ თავიანთ მარაოს ზღვის ღრმა გამოქვაბულებში. წითლებია, როგორც მტრედის ნაზი ფეხები. მაგრამ ცივმა ზამთარმა შეჰკრა ჩემი სისხლი, ყინვამ გამიცვივნა კუკური, ქარმა დამიმტვრია ტოტები და წელს ვეღარ გავიშლები, ვერ ვიყვავილებ.

— ერთი წითელი ვარდი, მხოლოდ ერთი წითელი ვარდი!—ეხვეწებოდა ბულბული:—მხოლოდ ერთი, ნუ თუ შეუძლებელია იმისი შოვნა.

— არის ერთი საშუალება,—უპასუხა ბუჩქმა:—მაგრამ ისეთი საზარელია, რომ თქმას ვერა ვბედავ.

მითხარი,—დაჟინებით სთხოვდა ბულბული:—არ შემეშინდება!

— თუ წითელ ვარდის შოვნა გინდა, უნდა შეჰქმნა იგი ნაზის სიმღერით მთვარის შუქზე და შეღებო იგი შენის საკუთარ გულის სისხლით. გულში ჩემ ეკალ-გარჭობილი უნდა მიმღეროდე მთელ ღამეს დილის ცისკრამდე, სანამ ეკალი არ გაგიგმირავს გულს და შენი სისხლი, ჩემში გადმოსული, არ აღადგენს სიცოცხლეს.

— წითელ ვარდისთვის სიკვდილი ძლიერ ძვირფასია!—შეჰყვირა ბულბულმა:—ყველა ზოგავს თავს სიცოცხლეს. ისე კარგია მწვანე ტყეში ჯდომა; კარგია შესტრფიალებდე მზეს, ოქროს-ფერ ეტლიანს, და მთვარეს მის მარგალიტ-მორთულობით, ტკბილად ითრობოდე კურნელის სურნელებით... მერე რა ლამაზია საყურე ბალახა, ველზე რომ იშლება, და მთებზედ მოყვავილე ჩადუნა. მაგრამ სიყვარული სიცოცხლეზე ლამაზია და ან რა ფასი აქვს ფრინველის გულს ადამიანის გულთან!

ბულბულმა გაშალა თავისი წაბლის-ფერი ფრთები, აფრინდა ჰაერში, აჩრდილივით გაირბინა ბაღი და ჩუმად დაეშვა ფოთლებში.

სტუდენტი კვლავ ბალახებში იწვა, იმავე ადგილზე, და იმისს მშვენიერ თვალებში ისევ ცრემლები იდგა.

— ნუ ნაღვლობ!—შესძახა მას ბულბულმა:—გამხნევდი, მალე გექნება წითელი ვარდი! მე შევქმნი მას სიმღერით მთვარის შუქზე და ჩემი საკუთარის გულის სისხლით შევღებავ. ჯილდოდ გთხოვ მხოლოდ, გულწრფელი სიყვარული გქონდეს შენის სატრფოსადმი. სიყვარული თვით ულრმესს სიბრძნეზე ღრმა და შეუმუსრავ ძლიერებაზე ძლიერია. ცეცხლის ფრთებიანი დაჰფრინავს იგი დი აღაგზნებს გულებს. ტუჩები მისი ტკბილია, როგორც თაფლი და სულთქმა კეთილ-სურნელოვანი, ვითარცა ნელ-საცხებელი.

სტუდენტმა გაკვირვებით წამოიწია ბალახებში; იგი ყურს უგდებდა ბულბულის მშვენიერს სტვენას, მაგრამ ფრინველის ენა არ ესმოდა: მან მხოლოდ ის იცოდა, რომ წიგნებში სწერია.

სამაგიეროდ გაიგო ეს ბებერმა მუხამ და დაღონდა: მას გულწრფელად უყვარდა პატარა ჩიტი, რომელსაც ბუდე იმის ტოტეზზე გაეკეთებინა.

— უკანასკნელად მიმღერე მაინც, —ჩაიჩურჩულა იმან: — მე ობლად დავრჩები უშენოდ...

და ბულბულიც უმღერდა მოხუც მუხას. იმისი ხმა წააგავდა პატარა მდინარის ცქრიალს.

სტუდენტი ადგა და ამოიღო უბის ჯიბიდან ფანქარი და უბის წიგნი:

— უთუოდ ლამაზი იქნება,—წარმოსთქვა მან, მოეფარა რა ფოთლებს:—ამას ვერ უარ-ვყოფთ. მაგრამ აქვს თუ არა გრძნობა? მგონი, რომ არა. დიაღ, იგი ხორც შესხმული სიტურფეა, მაგრამ შინაგანი სითბო-გულმხურვალობა კი აკლია. იგი თავს არ გასწირავდა თავის სხვის გულისთვის, იგი მხოლოდ მუსიკაზე ფიქრობს, ხელოვნება კი ეგოიზმია. მაინც უნდა გამოტყდეთ, რომ იმის სიმღერაში მშვენიერი ჰანგებია. სამწუხაროა, რომ მასში არ ისმის ნუგეში—თანაგრძნობა, რომ ეს ჰანგები არ აღაფრთოვანებენ კეთილისკენ—სტუდენტი შევიდა თავის ოთახში, დაეცა ტახტზე და თავისს საყვარელზე ოცნებას მიეცა, მაგრამ ჩქარა ჩაეძინა.

როცა მთვარემ გაანათა ცის კიდე, ბულბული მიფრინდა ვარდის ბუჩქთან და იმის ეკალს გულით მიეხუტა. ასე მღეროდა მთელ ღამეს, ბროლ-ცივი მთვარე კი გამოსცქეროდა მაღლიდან და ყურს უგდებდა იმის მშვენიერს სტვენას. და მთელს ღამეს, სანამ ბულბული მღეროდა, ბასრი ეკალი სულ უფრო ღრმად ესობოდა იმის გულს და სწოვდა იმის მაცხოველებელს სისხლს.

ჯერ მღეროდა პატარა ქალ-ვაჟის ნაზს სიყვარულზე, და ბუჩქის ზემო ყლორტზე იშლებოდა საუცხოვო ვარდი, ფურცელი ფურცელზე იფურჩქნებოდა მის და იმისდაგვარად,

საარჩევნო უფლების რეფორმას. კონსერვატორების გარდა ყველა პარტიის ორატორებმა განაცხადეს: პროექტის განხორციელება სასურველი არ არის და უნდა ვეცადნეთ, რომ შემოღებულ იქმნეს ფარული კენჭის ყრა.

**ვენა**. რომის პაპმ გადააყენა დალმაციის პატრიარქი მათე—დვონსნიკი. მათე — დვონსნიკი იცავდა სლავიანურ წირვას. „მილანსკაია გაზეტას" სიტყვით, პატრიარქმა მათე დვონსნიკმა უარი განაცხადა, არ გამოვაქვეყნებ რომის პაპის დეკრეტს, რომლითაც სლავიანური წირვა უნდა შეიზღუდოსო. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" ამის შესახებ სწერს: დალმაციის პატრიარქის მათე-დვონსნიკის გადაყენება იმან გამოიწვია, რომ პატრიარქი დაჟინებით იცავდა სლავიანურ წირვასო. უკანასკნელ დროს სლავიანებში ძლიერმა ეროვნულმა თვით-შეგნებამ გაიღვიძა. სლავიანთა თვითშეგნება კლერიკალიზმზეც ძლიერია. სახელმწიფო ეკლესია ძალიან სუსტია და ამიტომ სლავიანთა მოძრაობა სახელმწიფოსთვის უფრო საშიშიაო.

**დუბლინი**. ირლანდიელების ლიდერმა განაცხადა: ირლანდიელები ეხლა უფრო ერთ სულოვნად და თანხმობით მოქმედებენ, სანამ წინად. ირლანდიელები გაძლიერდნენ. ირლანდიელები მთავრობას ვერ დაეთანხმებიან იმაში, რომ ჯერ ბიუჯეტი იქმნეს განხილული და შემდეგ ლორდთა პალატის უფლებების შეზღუდვის საკითხიო.

**ლონდონი**. კონსერვატორების გაზეთები იუწყებიან, სამინისტროში უთანხმოება ჩამოვარდა პროგრამის შემუშავების დროსაო. ლიბერალების გაზეთი „დეილი-კრონიკლ" უარჰყოფს ამ ხმას და თან უმატებს, რომ შესაძლებელია მალე სამინისტროში დიდი ამბები მოხდესო.

**რომი**. დეპუტატთა პალატა. პრემიერ-მინისტრმა სონნინომ სამინისტროს დეკლარაცია წაიკითხა. დეკლარაციაში ნათქვამია: უნდა დაარსდეს გზათა და მიწათ-მოქმედების განსაკუთრებული სამინისტროები. შესაძლებელია გადიდდეს სადამოენო გადასახადი, თუ იტალიის ზომიერი სადამოენო გადასახადები, გავლენასა იქონიებენ სხვა სახელმწიფოზე სამინისტროს განზრახული აქვს, დეპუტატთა პალატაში შეიტანოს კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარში ორი წლის სამსახური იქნება შემოღებულიო. საჭმელ-სასმელზედ დაწესებული გადასახადები თემებს გადაეცემათ. შემოსავლის დაკვლად გადასახადს მთელს იტალიაში შემოვიღებთ. გადასახადი ზომიერი—პროგრესიული იქნება. ამას გარდა უნდა მოხდეს პირველ-დაწყებით სასწავლებლების რეფორმა. პირველ დაწყებით სკოლები გადაეცემათ ახლად დაარსებულ ევრედ წოდებულ პროვინციალურ ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციებს თვალყურს ადევნებს სახელმწიფო. პროვინციალურ ორგანიზაციებს სესხად 240 მილიონი მანეთი მიეცემათ. ვალის სარგებელს სახელმწიფო კისრულობს. პირველ-დაწყებით სკოლების რეფორმისათვის წრეულს საჭიროა ასი მილიონი მანეთი. პირველდაწყებით სკოლებისთვის ზედმეტი დახმარება რვა წლის განმავლობაში იქნება საჭირო, სულ 40,000,000 მილიონი მანეთი. ამ ხარჯის დასაფარავად განზრახულია ზედმეტი გადასახადი დავადოთ თამბაქოს და შაქარსო. დასასრულ სონინომ დეპუტატთა პალატას შემდეგი წინადადება მისცა: რადგან წლეულს 50 წელიწადი სრულდება, რაც იტალია განთავისუფლდა, ამიტომ პენსია დაუნიშნოთ თავისუფლებისათვის მებრძოლთო. პალატამ მოიწონა სამინისტროს პროგრამმა.

### სპარსეთი

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტო იუწყება: თუ აქამდის რუსეთი და ინგლისი სპარსეთს ავანსად 400,000 მანეთს არ აძლევენ ამის მიზეზი ის არის, რომ სპარსეთ აქამდისაც გარანტია არ მიუცია, რომ ამ ფულს განსაზღვრულ საქმეებს მოახმარებს. ამას გარდა, რუსეთმა და ინგლისმა ჯერ არ იციან რანაირი კონტროლი გაუწიონ სპარსეთს ამ ფულის დახარჯვის დროსო.

**პეტერბურგი**. ზოგიერთმა საზღვარ-გარეთის გაზეთებმა დასწერეს, ვითომ რუსეთის მთავრობა რაღაც მფარველობას უწევდეს ყარადაღის ხანს, რახიმ-ხანს, რომელიც სპარსეთის მთავრობის ჯარს გამოექცა და რუსეთს შეაფარა თავი. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ეს ცნობა ყოველივე საფუძველსაა მოკლებული. რახიმ-ხანი სპარსეთის ეხლანდელ მთავრობას ებრძოდა, ამიტომ რუსეთის მთავრობა მას პოლიტიკურ დამნაშავედ სთვლის და როგორც ყველგან მიღებულია, რუსეთის მთავრობა ვერ გასცემს. რომ რახიმ-ხანმა დამოკიდებულება არ იქონიოს თავის თანამოძმეებთან და ხელმეორედ არეულობა არ მოახდინოს, ამიტომ მას წინადადება მიეცა ეკატერინოდარში დასახლდეს.

### ჰაერში ფრენა

**ბერლინი** (დაგვიანებულია). გუშინ, 28 იანვარს, ტეგელიდან პეტერბურგში გაფრინდა სამხედრო ჰაეროსტატი. მარაენდორფის ახლო ჰაეროსტატი მიწაზედ ჩამოვარდა. ჰაეროსტატი დაშლილი ჩამოიტანეს. არავინ დაშავებულა.

### რუსეთი

**კიევი**. ბორისპოლში დააპატიმრეს უცნობი. ბრალდება რჟიშჩევის კანტორიდან ფულის გატაცება. დაპატიმრებულს უპოვეს 1085 მან.

**კიევი**. შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინეს არქეოლოგიურ ინსტიტუტის წესდება.

**ყაზანი**. სამოსამართლო პალატამ განიხილა საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარედ ნამყოფის გერკონის და ამავე გამგეობის წევრებად ნამყოფების ბერსტელის და ბერკოვიჩის საქმე. ბრალდებოდათ სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენა. სასამართლომ ყველას სამსახურიდან დათხოვნა გადაუწყვიტა. ამას გარდა მათ ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადაიხადონ 10,000 მანეთი.

**პერმი**. ქალაქს ახლო, ერთ სოფელში უცნობმა ამოწყვიტა ერთი ოჯახი, სულ სამი კაცი. უცნობი დააპატიმრეს. დაპატიმრებულმა თავი მოიწამლა. უცნობს ოჯახის გაცარცვა სდომებია.

**ვარშავა**. პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი მარკების ქარხანა.

**პეტერბურგი**. ნაშუადღევის 2 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკში დააპატიმრეს ორი კაცი. უცნობებს ყალბი დოკუმენტებით 100,000 მანეთის გამოტანა უნდოდათ.

**ხარკოვი**. სახელმწიფო ბანკის კანტორამ დაასრულა 1904 წლის ანგარიში. გამოირკვა, რომ ამ წელს კანტორიდან ყალბი დოკუმენტებით 92,000 მანეთი გაუტანიათ.

28 იანვარს გაფიცულ მუშებს და ჟანდარმებს შეტაკება მოუვიდათ. დაშავდა რამდენიმე მუშა და ჟანდარმი.

29 იანვარს სუპირაის მოედანზედ ერთი სახლის სარდაფში ყუმბარა აფეთქდა. ყუმბარამ სახლი დააზიანა. ქალაქში დიდი მითქმა მოთქმაა.

**პეტერბურგი**. სათავად-აზნაური ბანკში დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ტამბოვის გუბერნიის მემამულე ფილიმონოვი და სამსახურს გარეშე მყოფი აფიცერი კოზლოვსკი. ფილიმონოვს პეტერბურგის უნივერსიტეტი გაუთავებია. ფილიმანოვმა განაცხადა: ყველაფერი ეს ჩემი ძმის ჩაგონებით ჩავიდინე, რადგან საქმეები ძალიან აწეწილ-დაწეწილი გვაქვსო. მე ბანკიდან 100 მანეთი უნდა მიმეღო და 100 მანეთი 100,000 მანეთად გადავაკეთეო.

სასამართლომ განიხილა „რეჩი"-ს რედაქტორად ნამყოფის ხარიტონოვის საქმე. ბრალდებოდა მთავრობის შესახებ ყალბ ცნობების გავრცელება. სასამართლომ ხარიტონოვს ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

## ჭრელი შენიშვნები

**აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ.**

VI

ბედკრულ პარნაუთელთა სვე-ბედმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია: ჩვენმა პრესამაც ამოიღო ხმა, მაგრამ, როგორცა სჩანს, იგი რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა". ამ წერილში მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ამ გარემოებას, რომ ამისთანა უმწეო მდგომარეობაში ადგილობრივ ბიუროკრატიას ჩაუგდია არა მარტო პარნაუთელი მეგრელნი: იგივე უბედურება თავს დაატყდათ დალელ სვანთაც 1905 წ. გაზაფხულზე. მე მათ ვესტუმრე 1908 წ. ივლისში და აქ მომყავს ზოგიერთი ცნობა ჩემი უბის წიგნიდან. მაგრამ იძულებული ვარ ცოტა შორიდან დავიწყო.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, პირველ ხანებში, როცა აფხაზეთი დაცარიელდა, ბიუროკრატია მაინც და მაინც ხელს არ უშლიდა, ქართველები დასახლებულიყვნენ პარტახად ქცეულ აფხაზთა ნამოსახლზე, და ამის წყალობით გაშენდა რამდენიმე სოფელი მეგრელთა სოხუმის ოლქში. შემდეგ კი ადმინისტრაციამ აზრი შეიცვალა და ყოველს ღონეს ხმარობდა აფხაზეთიდან ქართველთა გამოსაძევებლად. სხვათა შორის, **აფხაზს წაართვეს უფლება მეგრელი ჩაესიძევებინა და თავისი სათემო უფლება ამ გზით მეგრელებისთვის გადაეცა** საზოგადოების თანხმობით, რასაკვირველია! წინად კი ორიოდე მარკა სჭირდებოდა ამ საქმეს და მეტი არაფერი. ამ გზით დიდძალი მეგრელობა ჩაითესლა აფხაზთა შორის, რადგან, აფხაზის აზრით, მეგრელის ხელში ქალი ბედნიერია. ეს ერთად-ერთი საშუალებაც მოუსპო ბიუროკრატიამ მეგრელთ.

სწორედ ასეთ დევნის ხანაში ოცდაათი კომლი სვანი გადმოვიდა კოდორის ხეობით და დასახლდა დალის ხეობაში აფხაზთა ნასოფლარ ტიშში, რომელიც მდებარეობს მდინარე ჩხალთის ხეობაში 84 ვერსზე ქალაქ სოხუმიდან. ტიში (Тышъ) დაცარიელდა 1864 წელს და მას შემდეგ ადამიანის ხელი არ მიჰკარებია, რის გამოც ეს ოდესღაც მშვენიერი სოფელი ტყედ გარდაიქცა. ამ ტყის გადაჩეხა და გაწმენდა ბედმა არგუნა 30 მოსახლე სვანს. ესენი თავიანთ სამშობლოში, სვანეთში, ბატონობის უზომო გარდასახადებით შეწუხებულნი იძულებულნი იყვნენ აფხაზეთში გარდასახლებულიყვნენ. აქ „ლესნიჩიმ" რუსთა „ხოდოკებისაგან" ათვალწუნებული ტიში გარდასცა იჯარით მათ. გაჭირვებისაგან შეწუხებულ ადამიანის მხნეობა რა დაუდგება წინ? სვანებმა მიჰყვეს ხელი მუშაობას და 4—5 წლის განმავლობაში დათვთა და მგელთა საბუდარი მშვენიერ სოფლად გადააქციეს და ის იყო, ამოდენა ვაი-ვაგლახის შემდეგ თავისუფლად ამოსუნთქვას აპირებდნენ, რომ ახალი უბედურება დაატყდათ თავს: გამოვიდა ბრძანება: „დაუყოვნებლივ აჰყარეთ სვანები და ეს ადგილი მიუზომეთ რუსებსაო!" ვის არ მიმართეს, ვის არ შესჩივლეს საცოდავმა სვანებმა, მაგრამ არაფერი გამოვიდა- გაზაფხულზე ამოვიდნენ სტრაჟნიკები და აჰყარეს სვანები. მათი ქოხმახები და სასიმინდოები მიწასთან გაასწორეს და მცხოვრებნი გარეთ გამოჰყარეს. და ამ რიგად, სვანს, როგორც „ტუზემეცს", იჯარითაც არ მისცეს ის ადგილ-მამული, რომლის გაწმენდაში ჩალუპა მან „საუკეთესო ნაწილი თავის ცხოვრებისა", და მის გულის გასახეთქად იგივე ბინა ხვეწნით და დიდის შეღავათით შორეულ ადგილებიდან მოსულებს შეაძლიეს. ამას ჰქვიან ქართულად: „მე რომ ბედი მქონებოდა, მაკოია მერქმეოდაო". ალბად მკითხველი იკითხავს: „თუ არ ემეტებოდათ, პირველად რისთვის დაასახლესო?" მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ბედნიერ მეტოქისთვის მუქთა ხელით გზა გაეკაფათ. უნდა შევნიშნოთ, რომ დღესაც ეს ადგილი არც ერთმა „ხოდოკმა" არ მოიწონა და ამიტომ სვანთაც იმედი არ დაჰკარგვიათ მისი დაბრუნებისა. „მით უფრო,—მითხრეს, —რომ ქუთაისში გუბერნატორს ვეახლოდ (ვგონებ, 80 კაცი ერთად), დაგვპირდა, დაგიბრუნებთო. ეხლა მღვდელიც (რუსია) გვეხმარებაო".

ასე და ამ რიგად, აყრილმა სოფლებმა თავი შეაფარეს ალ. სარაჯიშვილს და უფ. კეცენკოს, რომელთაც დალის ხეობაში აქვთ მამულები. ამ ჟამად (უკეთ ჩემს იქ ყოფობის დროს 1908 წ.) დალის ხეობაში სცხოვრობდა 76 მოსახლე; ეხლა, ალბად მეტისა იქნება. ესენი დაფანტულად სცხოვრობენ სხვა და სხვა მემამულის „ნადელებზე", უმთავრესად კი სარაჯიშვილისა, კეცენკოსა და ძმათა ვოინო-ორანსკების მამულებზე. იჯარის ქირა დიდი არ არის: კეცენკო და ალ. სარაჯიშვილი აძლევინებენ დესეტინაზე 5 მანეთ, ხოლო ვოინო-ორანსკები კი ექვს-ექვს მანეთს. საიჯარო გარდასახადის ასეთი სიმცირე აიხსნება ბაზართან დაშორებით: 74—90 ვერსით დაშორებულია სოხუმზე, რის გამოც, მაგალითად, 1 ფუთი მარილი აქ ფასობს 90 კ. სოხუმში ერთი ფუთი ტვირთის ჩატანა ღირს 50 კ. ზაფხულობით, ხოლო ზამთრობით გზა თითქმის შეკრულია. ამათ არც სკოლა, არც ეკკლესია აბადიათ. საკუთარი მამასახლისიც არა ჰყავთ: ზედ მიწერილნი არიან აჟარას რუსთა საზოგადოებაზე. სოფელ აჟარაში სცხოვრობს 19 კომლი რუსი, რომელთაც სკოლაც და ეკკლესიაც აქვთ. აი ამ 19 კომლს უნდა დაემორჩილოს 76 კომლი სვანი.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დალის ხეობას მოაწყდა სვანობა: აქ მათ კონკურენტი არა ჰყავთ კერძო პირთა ნადელებზე, რადგან მეთუთუნე სომეხ-ბერძენ-თათარს აქეთკენ ჯერ ფეხი არ ჩაუდგამს და ამიტომ მოსალოდნელია დიდი ძალი სვანობა გადმოსახლდეს. აი, ამათ ესაჭიროებათ ეხლა დახმარება და შემწეობა. აქ შედარებით მამულებიც იაფად იყიდება, რომ სესხს მოუხერხებდეს ვინმე. მივაქცევთ გულშემატკივართ ყურადღებას.

**ჰამუთ-ბეი.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**პანაშვიდი**. დღეს, 31 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულ მ. ი. დემურის [სულის] მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 ნახევარ საათზე.

✦ **დაჯარიმება**. ჩვენი გაზეთის რედაქტორი ამ ერთი კვირის წინად ხუთი თუმნით დაჯარიმეს, ეხლა, ტფ. გუბერნატორის ბრძანებით, კვლავ დაჯარიმეს ათი თუმნით.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება**. დღეს, 31 იანვრისთვის, ტფ. სამეურნეო საურთიერთო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩაზე) დანიშნულია საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი საპენსიო თანხის დაარსების შესახებ და აირჩიოს გამგეობის სამი წევრი. კრება დაიწყება დილის 11 საათზე.

**„წრის" კრება**. ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში დღეს, 31 იანვარს, დილის 11 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ წრისა გამგეობის მოქმედების ანგარიშის განსახილველად და გამგეობის წევრთა ასარჩევად.

✦ **ახალი შენობა**. ბარონისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილებისათვის დაწყებული შენობა უკვე დაამთავრეს. როგორც სიმკვიდრით, ისე მოწყობილებით ქალაქში ეს ახალი შენობა ერთი უპირველესთაგანია. ამ შენობაზე ადმინისტრაციამ 300,000 მან. დახარჯა. მალე შენობას აკურთხებენ და შემდეგ გადმოიტანებენ ბანკის განყოფილებას ფრეილინის ქუჩიდან.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი**. სამშაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 8 საათისათვის. დანიშნულია ტფ. საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი ტფ. უმაღლეს სასწავლებლის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ სხდომაზედ მოწვეულნი არიან ხარიჩკოვი, გულიშამბაროვი, გულიევი, თ. ვ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკი და თავ. ბაგრატიონ-დავიდოვი.

✦ **სიღნაღის ქალაქის თავი**. როგორც სიღნაღიდან გვატყობინებენ, სიღნაღის ქალაქის თავად აურჩევიათ ისევ ენიკოლოფოვი.

✦ **ქალაქის საბჭო**. ორშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საბჭოს განსახილველად წარედგინება 18-მდე ძველი და ახალი საქმე.

✦ **მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება**. ტფ. ქალაქის საბჭომ, როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, 1000 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა დაუთმოს კავკ. მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოებას ხარფუხში ქალთა სასწავლებლისთვის შენობის ასაგებად. ეს ადგილი სულ ცოტა 20,000 მანეთად ღირს. საქველმოქმედო საზოგადოება სიხარულით მიეგება ამ ყურადღებას ქალაქის თვით-მმართველობის მხრივ. საზოგადოების გამგეობა უკვე შეუდგა ზრუნვას თანხის მოსაპოვებლად სკოლის შენობისათვის. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს მიმართოს თხოვნით ბაქოს შეძლებულ მაჰმადიანებს.

✦ **გაფიცვა**. ამ რამდენიმე ხნის წინად ბაქოში გაიფიცნენ ტერ-აკოფოვის ქარხნის მუშები. დეპეშათა სააგენტო იუწყება: ტერ-აკოფოვის ქარხანამ მუშები დათხოვნილებად იცნო და დღიურ მუშებს ამუშავებს. ბაქოს გრადონაჩალნიკმა გაფიცულ მუშებს გამოუცხადა, თუ არეულობა ძოგიხდენიათ, სასტიკ ზომებს მივიღებო.

✦ **დახმარება**. სომხურმა დრამატიულ საზოგადოებამ უკვე მიიღო ალ. ივ. მანთაშევისაგან აღთქმული ყოველ წლიური დახმარება 4000 მანეთი.

✦ **მთავრობის მამასახლისი**. ნამესტნიკის ბრძანებით ჯირხვანის საზოგადოებაში (სოხუმის ოლქში) დანიშნა მთავრობის მამასახლისი

---

როგორც ერთი სიმღერა სცვლიდა მეორეს. ჯერ ვარდი ფერმკრთალი იყო, როგორც მდინარეზე გაწოლილი ნისლი, როგორც დილის ცისკარი, და ვარვარებდა ვერცხლის ფრად, თითქოს განთიადის ფრთებიაო. როგორც ალისფერი აჩრდილი სარკის ვერცხლებრივ შუშაზე, როგორც ალისფერი გამონაკრთობი წყლის ზედაპირზე, ისევე ნაზი იყო ვარდი, რომელიც ბუჩქის ზედაყლორტზე იშლებოდა.

მაგრამ აი ბუჩქმა აიძულა ბულბული უფრო მაგრა ჩაჰხუტებოდა ეკალს:

— მომეკარ მაგრა, ჩემო ჩიტუნავ, —ეძახდა იგი:—თორემ დღე მოასწრობს ვარდის გაშლას.

და ბულბულიც მაგრა დაეკრა ეკალს გულით, სიმღერა კი უფრო და უფრო წკრიალით ეფინებოდა და გამოსთქვამდა ჭაბუკისა და ქალწულის სიყვარულს.

ოდნავ შესამჩნევი ალისფერი სადებავი მოედვა ვარდის ფოთლებს, თითქოს მიჯნური პირველად ჰკოცნის თავისს სატრფოსაო. მაგრამ ეკალს ჯერ არ მიეღწია ბულბულის გულამდე, და ვარდი ჯერ არ გაცოცხლებულიყო: მხოლოდ ბულბულის გული იწვევს სიცოცხლეში ვარდის გულს.

და ბუჩქმა კვლავ მოსთხოვა, ბულბული უფრო ძლიერ მიჰკროდა.

— მომეხუტე, უფრო ახლო დაიხარე, ბულბულო,—ეძახდა იგი,—თორემ ვარდი დილამდის ვერ გაიშლება.

ბულბული უფრო მაგრა მიეხუტა, ეკალი შეერჭო გულში და სასტიკი ტკივილი აინთო მასში. მწვავე და მწვავე ხდებოდა ტანჯვა და სულ უფრო გრძნობიერად ჰყეფდა სიმღერა, ამცნევდა რა სიკვდილით ნაკურთხს სიყვარულს, იმ სიყვარულს, რომელსაც საფლავს იქითაც კი არა აქვს დასასრული.

და საუცხოვო ვარდი გაიშალა უცბად, როგორც ვარდი აღმოსავლეთისა. მეწამულად აენთო მისი ფოთლები და როგორც ლალი გაწითლდა მისი გული.

მაგრამ ბულბულს მიუსუსტდა ხმა, ფრთები შეუთრთოლდა და თვალებზედ ბინდი გადეფარა. სუსტად გამოკრთოდა სიმღერა და რაღაც ურაკრაკებდა გულში.

ბოლოს გაისმა უკანასკნელი ამოძახილი. მკრთალ მთვარეს შეესმა იგი ამოძახილი, დაავიწყდა განთიადი და ცაზე შეჩერდა. წითელი ვარდი აკანკალდა გრძნობათა მეტის ექსტაზით და გადუშალა თავისი გული დილის ცივს ნიავს უპუმ წაიღო ეს ხმა თავის გამოქვაბულებთან, გამოაღვიძა მძინარე მეცხვარეები და გადასცა შორეულს მთებს; გამოეხმაურა წყლის პირას მდგარი ლერწამიც და ზღვისკენ წაიღო იგი.

— შეხე, შეხე,—შეჰყვირა ბურჩქმა,—ვარდი გაიშალა!

მაგრამ ბულბულმა პასუხი არ მისცა, მკვდარი, ეკლით განგმირული გულით ეგდო მაღალ ბალახში.

შუადღისას სტუდენტმა გამოაღო ფანჯარა და ბაღში გაიხედა.

— რა ბედნიერებაა! აი ალისფერი ვარდი! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამ გვარი არაფერი, მეტად მშვენიერია! დარწმუნებული ვარ, მას გრძელი ლათინური სახელი ერქმევა!—და გადეწოდა, რომ მოეწყვიტნა ვარდი.

იმ წუთსვე აიღო ქუდი და პროფესორთან გაიქცა. ხელში ვარდი ეჭირა.

პროფესორის ქალი კარებში იჯდა, და ცისფერ აბრეშუმის გორგალს ართავდა. იმის პატარა ძაღლს იქვე ფეხთით ეძინა.

— თქვენ ჩემთან ცეკვას დამპირდით!—შესძახა სტუდენტმა. აი, უმშვენიერესი ყველა ვარდზე!—ამას გაიკეთებთ გულზე და ცეკვის დროს გიამბობთ, თუ როგორ მიყვარხართ!

ქალმა წარბები შეიჭმუხნა.

— მეშინიან, რომ ეგ ჩემს ტანისამოსს არ მოუხდება. ამას გარდა, ჩემბერლენის ძმის-წულმა ნამდვილი სამკაული გამომიგზავნა, და ყველამ იცის, რომ ეს ნამდვილი ყვავილზე გაცილებით უფრო ძვირია!—უთხრა მან.

— პატიოსნებას ვფიცავ, ძალიან უმადურნი ხართ!—შეჰყვირა გაჯავრებულმა სტუდენტმა და ვარდი ქუჩაში გადისროლა.

ვარდი დაეცა მტვერში და მიმავალმა ეტლმა გასრისა.

— უბედური?—შეჰყვირა ქალმა: მე კიდევ გეტყვით, რომ თქვენ ძალიან თავხედი ხართ. და ან ვინა ხართ? ვიღაც უბრალო სტუდენტი... მგონი ფეხსაცმელებზე არც კი გაქვთ ვერცხლის ბალთა, როგორცა აქვს ჩემბერლენის ძმისწულს!—და, ადგა რა სკამიდგან, სახლში შევიდა.

— რა საბრალო რამ არის სიყვარული!—წარმოსთქვა სტუდენტმა. ნახევრადაც არ არის ისე სასარგებლო, როგორც ლოღიკა, იმიტომ რომ არაფერს არ ამტკიცებს, იწვევს აუსრულებელს იმედებს, და არწმუნებს იმაში, რაც ნდობის ღირსი არ არის. პრაქტიკულ სარგებლობას სრულიად მოკლებულია, ხოლო ჩვენს საუკუნეში კი პრაქტიკული სარგებლობა ყველაფერია. სჯობს ისევ ფილოსოფიასა და მეტაფიზიკას მივყო ხელი...

და, დაბრუნდა რა სახლში, გადმოიღო მტვრიანი წიგნი და დაიწყო კითხვა.

**გ. ნამორაძე.**

და ორი სტრაჟნიკი. ხარჯი საზოგადოებას დაეკისრა. ჯირხვანის საზოგადოების მცხოვრებლებს ბოროტ - განმზრახველების შენახვა ჰპრალდებათ.

**სამართალში მიცემა.** „რუს. სლოვო“-ს კავკავიდან დეპეშით ატყობინებენ: კავკასიის ნამესტნიკმა სამართალში მისცა ხასავ-იურტის ოლქის უფროსად ნამყოფი პოდპოლკოვნიკი კოტლიარევსკი. კოტლიარევსკის კავშირი ჰქონია ყაჩაღებთან, რომელნიც მდიდარ ხალხს იტაცებდნენ და შემდეგ ფულს თხოულობდნენ.

**ქართული წარმოდგენა.** გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი ახალი ისტორიული პიესა ვასილ ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან“. დღეს მეორედ თამაშობენ. გუშინ ბილეთები სულ გაიყიდა. პიესაში მონაწილეობას მიღებენ ნ. ჩხეიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი და სხვანი.

**ტფ. პოლიციის განკარგულებით** ტფ. აბანოები ზაფხულობით უნდა იღებოდეს დილის 9 საათზე, ხოლო იკეტებოდეს ღამის 12 საათზე; ზამთრობით დილის 6 საათზე და იკეტებოდეს ღამის 11 საათზე.

**ტფ. ადმინისტრაციის** განკარგულებით ტფილისის აბანოებში მომუშავე მექისეები უნდა შემოწმებულ იქმნენ ხოლმე ექიმების მიერ. ვინც ავადმყოფი გამოდგება დათხოვნილი იქნება.

პოლიციის მე-10 ნაწილში დაპატიმრებული ჰყავდათ ჯიბგირი ვლადიმერ ვილიევი, რომელიც რკინის გზის ვაგონში ქურდობისთვის გამომძიებელთან უნდა გაეგზავნათ. საპოლიციო ნაწილიდან ვალიევს დრო უხელებია და 30 იანვარს სადღაც მიმალულა.

29 იანვარს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ფილანსკანდოვის ქუჩაზე მცხოვრებ ასლან მოსესოვის ბინაზე შეპარულან ქურდები და გაუტანიათ ვერცხლის ნივთები 84 მანეთისა; ეჭვით დააპატიმრეს ვასილ მჭედლიძე, დააპატიმრეს ტრაპიზონელი არუნდუ ვართევან ბერეან-ოღლი, რომელიც ტფილისში სედრაქ უსტიკიანის პასპორტით სცხოვრობდა. ყუბის ქუჩაზე დააპატიმრეს სოფ. ნორიოს მცხოვრები ამირან ჩახნაშვილი, რომელიც კიევში მდგომ პოლკიდან გამოქცეული და სამხედრო ბეგირის თავიდან ასაცილებლად იმალებოდა ტფილისში. პოლიციის მე-3 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს—11, ხოლო პირველ ნაწილში—9 უპასპორტო კაცი.

## ქართული გალობა ეკკლესიებში

ხმა დადის, ვითომ ახალ ეგზარხოსს ჩამოსვლისათანავე ყურადღება მიუქცევია ეკკლესიებში ქართულ საეკკლესიო გალობისათვის. უკითხავს ერთისთვის, მეორისთვის, არსებობს თუ არა ქართულ ეკკლესიებში ქართული ხორო, და როცა ჩვენი სულიერ მამებისგან უნუგეშო პასუხი მიუღია და უთქვამს, რომ ჩვენ სამლოცველოებში გუნდის მაგიერად დიაკვნები ულაზათოთ კნავიან, ახლად მოსული ეგზარხოსი გაოცებულა. გასამართლებელ იარაღად მოძღვრებს ძველად ნახმარი ფარი წამოუყენებიათ: ეკლესიები ღარიბებია და არ ძალუძთ ხოროები იყოლიონო.

ამისთანა პასუხი დიდი ხნის ნაცნობია, ვინაიდან ვიცით, რომ სულიერი მამები ეხლა უმეტესს შემთხვევაში მარტო ჯიბეებზე ფიქრობენ. სწორედ აი ამ ჯიბემ მოუღო ბოლო ქართულ ეკლესიებში გალობას. ხოროს, უყოლობა ერთი უმთავრეს მიზეზთაგანია იმისა, რომ მრევლი სამუდამოდ დაუფრთხა ქართულ ეკლესიას. დიდი ხანია ქართველები, ერიც და თვით ბერიც, იმ სიდუხჭირის გზასა და კვალს სწყევლის, რასაც ქართულ სამლოცველოებში წირვა-ლოცვა და გალობა დაადგა. ყველანი, ერთად თუ ცალკე, ვგმობთ იმ მიზეზებს.

ახალ ეგზარხოსს თურმე უბრძანებია კიდეც მოახდინონ თათბირი ქართველმა მღვდლებმა ამ საგანზე ბრძანებას გაუკრია: ქართველ მღვდლებს, კრებაზე დაუდგენიათ, იყოლიონ სამუდამო ქართული საეკკლესიო ხორო, ხოლო შესანახი ხარჯი—150 მ. თვიურად—გააწერონ ქართულ ეკკლესიებს.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ გალობის დაცემის საქმე მარტო აქედან არ მომდინარეობს. თვით სათავეშივეა იგი ამღვრეული. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სემენარიაში და სასულიერო სასწავლებლებში გალობის უნუგეშობას. დღეს იგი აქაც უზომო კრიზისს განიცდის, რადგან დიპლომიანი მასწავლებლები, რომელთაც აქ თავი შეუფარებიათ, შემომწყრალნი არიან ქართულ გალობასთან და, მაშასადამე, ამ ნიადაგზე მათი ნათესი მათვენაირ ნაყოფს გვაძლევს: ქართული სიმღერა-გალობის უცოდინართ. რუსის სამუსიკო სკოლებში დიპლომიანნი ჩვენი გადაგვარების პოლიტიკას,—არ ვიცით,—ნებსით, თუ უნებლიეთ ერთგულად ემსახურებიან. აი, ამათ ჩაუყარეს საძირკველი, ამათ აამღვრეს ის ანკარა ნაკადული ქართულ გალობისა, რომლითაც ივერიის ეკკლესიას და ხალხს საუკუნოთა განმავლობაში თავი მოჰქონდა.

ი. კარგარეთელი.

## ოსმალეთი

**საიდუმლო ყუთები.**

23 იანვარს პოლიციის აგენტებმა ბეშიკტაშის უბანში შენიშნეს ორი კაცი, რომლებსაც დიდის სიფრთხილით მიჰქონდათ ორი ყუთი. როდესაც ეს ორი კაცი მიუახლოვდა რიზა-ფაშის სახლს, სადაც ამ ჟამად პარლამენტის სხდომები იმართება, პოლიციელებმა ვინაობა გამოჰკითხეს. მათ უპასუხეს, ვიღაცა კაცმა საბაჟოზე გვიბრძანა, რომ ეს ყუთები პარლამენტში მიგვეტანაო. ეს ორი კაცი ყუთებიანად პოლიციის ნაწილში გაგზავნეს. პოლიცია ირწმუნება, რომ ყუთებში ეწყო ბოთლები გოგირდის სიმჟავითაო. სხვები კი ამბობენ, რომ ყოველ უუთში თხ-თხი ბოთლი ეწყო ნიტროგლიცერინითაო.

## სპარსეთი

**მეჯლისში.**

როდესაც დეპუტატები რუსის ჯარის შესახებ შეეკითხნენ გარეშე საქმეთა მინისტრს, დეპუტატმა ევტიხარ კაძინმა გაიხსენა ნოტა, რომელშიაც რუსეთის მთავრობა პირობას იძლეოდა, რა წამს სპარსეთში მშვიდობიანობა დამყარდება, იმ წამსვე გავიყვანთ ჯარსაო. სპარსეთი დიდი ხანია დამშვიდდა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მაინც დღემდე არ შეასრულა თავისი დაპირებაო.

## ინგლისი

**პოლიტიკური ბრძოლა ინგლისში.**

„რუსკ. ვედომოსტი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი ცოცხლად ასურათებს ინგლისის პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლას. იგი სწერს:

„ინგლისის ერის ეხლანდელი მდგომარეობა მოგაგონებთ იმ მაყურებელთა მდგომარეობას, რომლებიც წინ-წინ ადრე მისულან თეატრში და არ იციან არც პიესა, არც როლების განაწილება, თეატრის დარბაზში ბნელა. ისმის ფაცა-ფუცი ჩამოშვებულ ფარდის უკან. მაყურებელნი ცდილობენ გამოცნობას, რა ხდება სცენაზე: პიესას ამზადებენ, დეკორაციებს სდგამენ, თუ წახხუბებულ აქტიორებს არიგებენ. „პოლიტიკურ ფარდას“ იქით ასეთს დროს ჩვეულებრივ სამინისტროს შედგენას ანდომებენ ხოლმე, ეხლა კი სამინისტრო უკვე მზადაა, და წელანდელი შედარება რომ განვაგრძოთ, ჩამოშვებულია ისეთი რკინის ფარდა, რომ რისამე დანახვა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ მაყურებელთ ეჭვი ებადებათ, ვაი თუ წარმოდგენა სულაც გადაიდვასო.

პარლამენტის მოლოდინში ინგლისელებიც მრავალ მოსაზრებას გამოსთქვამენ და ათასნაირ რჩევას აძლევენ. კონსერვატიული პრესა ცდილობს ხალხის შეშინებას და ამისთვის მეტის-მეტად აზვიადებს ეხლანდელ ვითომდა გაჭირვებას. „რევოლიუციონერ ირლანდიელების“ შემწეობით ასკვიტი ჩვენის კონსტიტუციის უკანასკნელ ბურჯის — ლორდთა პალატის დანგრევას აპირებსო. ირლანდიელი რევოლიუციონერები დახმარებს უწევენ ლიბერალებს თავისუფალ გაჭირობის დაცვაში, თუმცა თითონ მათთვის უფრო სასარგებლო იქნება პროტექციონიზმიო. „ტაიმს“-ი „სოციალიზმით“ აშინებს მშვიდობიან ინგლისელებს: სამინისტროს სოციალისტები (მუშთა პარტია) უჭერენ მხარსაო, თუმცა მუშათა პარტია სულაც არ აპირებს უზომო, წრეს-გადასულ მოთხოვნილების წარდგენას, როგორც ამას „ტაიმს“-ი წინასწარმეტყველებდა. მუშათა პარტია მეგობრულად უცქერის ლიბერალებს. იგი მზადაა მხარი დაუჭიროს სამინისტროს, თუ ის შეასრულებს დაპირებულ რეფორმებს. მართალია, ინგლისის ეხლანდელი მდგომარეობა გაჭირვებულია, მაგრამ იგი სულაც არაა ისეთი უიმედო, როგორც კონსერვატიული გაზეთები ირწმუნებიან. უნიონისტური გაზ. „დეილი მეილ“-ი განსაკუთრებულ აფიშებით აცხადებს, რომ „სულელურ გადასახადების“ პარტია მეტად დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილიო“. „ლიბერალური პარტია სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილიო“, აცხადებს მეორე უნიონისტური გაზეთი „დეილი ექსპრეს“-ი. მთელი კონსერვატიული პრესა წინასწარმეტყველებს, რომ პიესას პირველ აქტის შემდეგვე დაიწუნებს საზოგადოებაო, ესე იგი სამინისტრო მომავალ ზაფხულშივე დაეცემაო: ამიტომ კონსერვატიული პრესა რჩევას იძლევა „თოფის წამალი მზად იქონიოს ჩვენმა პარტიამაო“. როგორ უნდა მოიქცნენ კონსერვატორები, რომ მომავალ არჩევნებში უთუოდ გაიმარჯვონ! „საჭიროა პროტექციონისტების პროგრამიდან ამოიშალოს გადასახადები პურსა და ხორცზე, ამბობენ ზოგნი. „არა, პურის გადასახადს ვერას დროს ვერ ამოვშლითო“, ამბობენ მეორე პროტექციონისტები. პურის გადასახადი—კარგი შემოსავლის წყაროა. ამ გადასახადით ინგლისის კოლონიები როდი დაიწყებენ მეფარველობით ბაჟებს ინგლისის საქონლის დასაცველად უცხო საქონლის მეტოქეობისგან. გზაა სატარიფო რეფორმას უთუოდ უნდა დაუმატოთ სოციალური რეფორმებიცაო“.

ლიბერალური პრესაც ბევრსა სწერს მომავალ პიესაზე და ბევრნაირ რჩევას აძლევს „მომქმედ პირებს“. უფრო გაბედულნი და მამაცნი ურჩევენ სამინისტროს: „ლორდთა პალატის რეფორმას შეუდექით დაუყოვნებლივ. ჩვენ რომ ბიუჯეტის დამტკიცებიდან დავიწყოთ საქმე, ადვილად შესაძლებელია, მისი განხილვა გაჭიანურდეს პალატაში, რადგან ირლანდიელები წინააღმდეგნი არიან სპირტის გადასახადისა, ხოლო უნიონისტებიც მოითხოვენ ყვირილს მიწის გადასახადზე. თუ სამინისტრო კამათს შეზღუდავს, მაშინ ლორდები იმ საბუთით, რომ დეპუტატთა პალატამ საჩქაროდ, ხელდახელ უარჰყოფენ მას. არა, უთუოდ ლორდთა პალატიდან უნდა დავიწყოთ,—განაგრძობენ რადიკალები. პირველი მინისტრი დიდის ამბით დაჰპირდა ხალხს ამ რეფორმას. ბრძოლა ლორდების წინააღმდეგ შეაერთებს მთელს კოალიციას. მაშინ სამინისტროს 122 ხმის უმეტესობა ეყოლებაო.“

ასეთის რეფორმისთვის, რასაკვირველია საჭიროა მეფის დახმარება. ზომიერი ლიბერალები წინააღმდეგნი არიან ასეთის ტაქტიკისა. ისინი ამბობენ: ასეთი ტაქტიკა გიმოსადეგი იყო სტიუარტების დროს. მაშინ შესაძლებელი იყო მეფის შეშინება მუქარით, რომ დეპუტატთა პალატა ფულს აღარ მისცემდა მის მთავრობას, მაგრამ ეხლა მთავრობა თითონ სამინისტროა და თუ სამინისტრო მეფეს უარს ეტყვის ფულის მიცემაზე, იგი თითონვე დარჩება უფულოდ. ეს პირველი. მეორე კიდევ ისაა, რომ ასეთ ტაქტიკის შედეგებიც უნდა გავითვალისწინოთ. ვსთქვათ, მეფემ უარი უთხრა ასკვიტს დახმარებაზე, მაშინ ასკვიტი იძულებული იქნება თანამდებობიდან გადადგეს. მეფე ბალფურს შეადგენინებს სამინისტროს. რასაკვირველია, მისი სამინისტრო ხელად დამხობილ იქნება, მაგრამ ბალფურს მეტად კარგი საბრძოლველი იარაღი მიეცემა ხელში. იგი მიმართავს ხალხს თხოვნით: „ჩვენი კონსტიტუცია და მონარქია დაიცავით სოციალისტებისა და რევოლიუციონერ-ირლანდიელებისაგანაო. და თუ უნიონისტები თავიანთ პროგრამაში სოციალურ რეფორმებსაც შეიტანენ, მაშინ ხომ ლიბერალური პარტია საბოლოოდ განადგურდებაო“. ასე წინასწარმეტყველებენ ზომიერი ლიბერალები.

აი, ასეთს მოსაზრებებს გამოსთქვამენ ინგლისელი მაყურებლები ჩამოშვებულ პოლიტიკურ ფარდის წინ“.

## რუსეთი

**ციმბირში გაგზავნა.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ციმბირში გაგზავნეს მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ნამყოფები: სეროვი, ანისიმოვი, კირიენკო, ბელოუსოვი და სატანოვი. პეტერბურგში ჯერჯერობით დარჩნენ: ზურაბოვი, ყიგალოვი და სალტიკოვიო.

**ეფრანის თვითმკვლელობა.** როგორც ვწერდით, პარიზში თავი ჩამოიხრჩო ეფრანმა და მისმა 14 წლის შვილმა „რუსკ. სლოვო“ დ. მატეპით ცნობებს გადმოგვცემს: ქ-ნ ეფრანის 14 წლის ვაჟმა თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი ის იყო, რომ ბავშვი გიმნაზიაში გაეჯავრებინათ. დედაზედ მან ისე იმოქმედა, რომ მანაც თავი ჩამოიხრჩო. ქ-ნი ეფრანი მოსკოვის გუბერნატორად ნამყოფის დურნოვოს შვილია, შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფის დურნოვოს ძმისწული. დურნოვოს ქალი ახალგაზრდობაში ცნობილ ნაროდნიკს, ეფრანს გაჰყვა. ეფრანი მალე იძულებული გახდა რუსეთი მიეტოვებინა. განსვენებული ელისაბედ პეტრეს ასული ეფრანი 1905 წელს რუსეთში ჩამოვიდა და აქ რამდენიმე ხანი მაქსიმალისტების ცენტრალურ კომიტეტის წევრად იყო. ეფრანი რუსეთში დააპატიმრეს და სატუსაღოში ერთი წელიწადი დაჰყო. შემდეგ 15000 მანეთის თავდებით თავი გაინთავისუფლა და საზღვარ-გარედ გაიქცაო.

**ქალი ნაფიცი-ვექილი.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ოლქის სასამართლოში სამოქალაქო საქმის დასაცავად 3 რველად გამოვიდა ქალი, ნაფიცი-ვექილი ქ-ნი კედრინისა. მოპასუხის ნაფიც-ვექილმა პროტესტი განაცხადა, კანონით ქალს უფლება არა აქვს ნაფიც-ვექილად გამოვიდესო. სასამართლომ საქმე სხვა დროსთვის გადასდო და ქ-ნ კედრინას დაავალა წარმოადგინოს რწმუნების ქაღალდი.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ტომსკში 3, უფაში 1, ვარშავაში 1, სარატოვში 1, კრემენჩუგში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ხარკოვში 1, უფაში 1, ტომსკში 2, ეკატერინოსლავში 2, ეკატერინოდარში 1 კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

(ახალშენელების საყურადღებოდ)

როგორც ნამდვილ წყაროდან გავიგე, ერთი საბაზრო ადგილი საბურთალოზე, რომელიც ნინო ახვერდოვისაგანა გქვონდა ნაყიდი, გაუყიდნიათ პატრონებს. კარგი იქნება (რადგან კონტორა დაიკეტა და კომმისიაც დაიშალა) ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ თვით ახალშენელებმა, მოახდინოს საზოგადო კრება და გაიგონ საქმის ვითარება. ის ადგილი, რომელზედაც ჩვენა ვწერთ საყოველთაოდ იყო ნაყიდი და ახალშენელების საერთო საკუთრებას შეადგენდა. ეხლა-კი ამდგარან და გაუყიდნიათ.

ი. ბახტაძე.

## კალენდარი

**იანვარი 31 დღე**

ახალი სტილით 13 — 31 — თებერვალი 3 დღისაა

31 დღე წლის თავიდან. რჩება 334 დღე.

**კვირა**

**მართლმ.** წმ. კვიროს და იოანესი.
**კათოლ.** წმ. პეტრესი და მარცელინასი.
**გრიგორ.** მე-3 კვ. შობ. შემდ. ქორწინება.
**მაჰმად.** ექ-შამ 2 რ.
**ებრაელთა** ივრიშონ 4 რ. პირ. ადარისა 5670 წ. ქვეყნის შექმ. ა.

უახლოესი უქმე სამშაბათს, 2 თებერვალს.


# განცხადებანი

## ძმ. ავსარქისოვების ბაღი

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები. ადრესი: Ст. Скра. (З. К. Ж. Д.). Авсаркисову. მსურველებს კატალოგს უფასოდ ვუგზავნებთ. (15—1024—1)

## ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., ხაღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—47)

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი“—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები«.—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანდები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

◀ ქუთაისში ქირავდება ▶

## სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—1)

## სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლდე-ეგურული“ ქუთაისში.

● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—21)

## ✠ პროვოდნიკის ✠

1897 წ. — 1908 წ. — 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

## ამხანაგობა

## რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

რეზინის საეკიპაჟო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.


სტამბა „სინათლე“, რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.